

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული აქტების მომზადებისა და მიღების ახალ სამართლებრივ მექანიზმებს.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მომზადებისა და მიღების სამართლებრივი მექანიზმების შესაბამისობაში მოყვანა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

მიუხედავად იმ უდავოდ დიდი როლისა, რასაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ასრულებს საჯარო მმართველობის სფეროში, კოდექსის XV თავის დებულებები ფაქტიურად უმოქმედო ნორმებია, ბინაიდან მისი მოთხოვნები არ სრულდება. ამავე დროს, რეალურად სახეზეა საკანონმდებლო ნორმების დუბლირება, ვინაიდან ნორმატიული აქტების მომზადების და მიღების წესი კოდექსის მიღებამდე და მისი მიღების შემდეგაც წესრიგდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XV თავით გათვალისწინებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ნორმები გავრცელდება კოლევგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების პროცედურების მიმართ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კოდექსის XV თავი ამოღებულია და ამ თავში არსებული ნორმები დამატებულია ამავე კოდექსის VII თავით გათვალისწინებულ კოლევგიური ადმინისტრაციული ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების წესში. რაც შეეხება სხვა ნორმატიულ აქტებს, მათი მომზადებისა და მიღების სამართლებრივი მექანიზმი წესრიგდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით. ამავდროულად, კოდექსის XV თავის ცალკეული ნორმები ასევე აისახება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე  
კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა,კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია